



# ს ა კ ა დ ე მ ი ი ს უ ნ ე მ ე ბ ე ბ ი

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქზ. შამული. საინჟინურობა — ოჯახი. ზნეობა. ცნადიყია  
ცოდნა. განათლება. განსწავლა — ერთგულება. სიყვარული. თბილისი



№14, ივლისი, 2020



**გიორგი მეტრეველი**  
საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის  
ვიცე-პრეზიდენტი

### საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება იმ ორთაგან ერთერთია, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჩამოყალიბებისთანავე (1941 წ.) შეიქმნა და რომელმაც მეცნიერების ყველა ჰუმანიტარული მიმართულება მოიცვა (მოგვიანებით ცალკე შეიქმნა ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება). სავსებით ბუნებრივია, რომ აკადემიური ჰუმანიტარიის ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იმთავითვე ქართველოლოგიური დარგები გამოიკვეთა. დაემყარა რა მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას, განსაკუთრებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიღწევებს საზოგადოებრივი მეცნიერებები, მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, აკადემიამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა. თანდათანობით ჩამოყალიბდა და გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ქსელი, რომლის საქმიანობას უშუალოდ განყოფილება წარმართავდა. 2005-2007 წლებში ჩატარებული გარდაქმნების შედეგად სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებთან განყოფილების ურთიერთობა კვლევითი საქმიანობის წლიურ

ანგარიშების საექსპერტო შეფასებით შემოიფარგლა. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო კვლევა-ძიება განყოფილებაში ინტენსიურად გრძელდება მისი წევრების ძალისხმევით. განყოფილების წევრები (9 აკადემიკოსი, 3 წევრ-კორესპონდენტი, 1 სტიპენდიანტი) წარმატებით ახორციელებენ როგორც ინდივიდუალურ კვლევებს, ისე ამა თუ იმ სტატუსით (ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი) აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კოლექტიური სამეცნიერო პროექტების შესრულებაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოები ახორციელებდა აკადემიის პრეზიდენტთან და აღნიშნულ განყოფილებასთან არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში, ესენია: საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია (აკად. რ. მეტრეველი), ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისია (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია (აკად. დ. მუსხელიშვილი), ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი (აკად. წევრ-კორესპონდენტი ლ. მელიქიშვილი), რომელთა საქმიანობაში აკადემიის წევრებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ შესაბამისი დარგის წამყვანი სპეციალისტები. განყოფილების კვლევით თემატიკას მნიშვნელოვან ადგილს უთმობს აკადემიის ინგლისურენოვანი ბეჭდვითი ორგანო „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე“, სისტემატურად გამოდის აკადემიის „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, აკადემიასთან არსებულ ისტორიკოსთა კომიტეტის წელიწადური „ქართული დოლომატია“ (მთავარი რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის შრომების კრებული „ანალები“ (მთავარი რედაქტორი აკად. დ. მუსხელიშვილი).

2 შთამბეჭდავი მიღწევებით აღინიშნა დასახელებული დარგების განვითარება. მათი სრული აღწერის გვერდი ავუაროთ განსაკუთრებული ხა სიათის სიახლეებს, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში. საყურ-

ადლება არქეოლოგიური კვლევებისადმი მიძღვნილი ნაშრომები (აკად. ო.ჯაფარიძე, აკად. წევრ-კორესპონდენტი გ. ლორთქიფანიძე), დიდი შირაქის ველსა და ფიჭვნარში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების პირველი შედეგები (აკად. წევრ-კორესპონდენტი კ. ფიცხელაური, პროფ. ა. კახიძე). მიმდინარეობს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კარდინალური პრობლემების შესწავლა (აკად. მ. ლორთქიფანიძე, აკად. რ. მეტრეველი). გამოქვეყნდა კომპლექსური ნაშრომი „ტაო-კლარჯეთი“ (ქართულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე), რომელიც მიეძღვნა საქართველოს ამ ძირძველი რეგიონების ისტორიასა და კულტურას უძველესი დროიდან დღემდე (მთ. რედაქტორი და თანაავტორი პროფ. ბ. კუდავა); გრძელდება საქართველოსა და კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის აქტუალური საკითხების კვლევა (დ. მუსხელიშვილი), შეისწავლება ეთნოლოგიის თანამედროვე საკითხები, კერძოდ, ეთნოსოციალური პროცესები (აკად. წევრ-კორესპონდენტი ლ. მელიქიშვილი), მუსიკალური ფოლკლორისა (პროფ. ნ. მაისურაძე) და ხალხური მედიცინის (პროფ. ნ. მინდაძე) პრობლემები და სხვ. საინტერესო სიახლეებია აღმოსავლეთმცოდნეობაში. ინტენსიურ ხასიათს ატარებს ძველი ანატოლიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი წყაროების – იეროგლიფურ-ლუვიური წერილობითი ძეგლების თარგმნა და ანალიზი (აკად. ნ. ხაზარაძე), ითარგმნა და გამოიცა საქართველოს ისტორიის თურქული დოკუმენტური წყაროები (პროფ. ნ. შენგელია). ქართულ კავკასიოლოგიაში ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება – ალბანისტიკა. ქართველმა მეცნიერებმა აკად. ზ. ალექსიძის ხელმძღვანელობით გამოავლინეს და შეისწავლეს ჩვენი ისტორიული მეზობლების – ალბანელების ენისა და მნიგნობრობის უძველესი ძეგლები, რომლებიც ახლებურად წარმოგვიდგენს ადრექრისტიანული კავკასიის კულტურულ-კონფესიურ ვითარებას. წარმატებით ვითარდება გრეციისტიკა ძველი საქართველოსა და კავკასიის კულტურულ-ისტორიულ პრობლემათიკასთან მჭიდრო კავშირში (აკად. რ. გორდუზიანი). შესამჩნევი შედეგებია ეკონომიკურ მეცნიერებაში. გასული საუკუნის ბოლოს მომხდარმა

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების რადიკალურმა შეცვლამ ეკონომიკურ მეცნიერებას სრულიად ახალი ამოცანები დაუსახა და, შესაბამისად ინტენსიურად წარმართა დარგში ახალი მიმართულებების ჩამოყალიბების პროცესი (აკადემიკოსები ვ. პაპავა, ა. სილაგაძე). დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის აკადემიიდან გასვლისა და რეორგანიზაციის შემდეგ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ტრადიციების შენარჩუნება და შემდგომი განვითარება აკადემიას ხვდა წილად, სადაც ფსიქოლოგიური პრობლემების კვლევა ერთ-ერთი მონივნავე მოძღვრების – განწყობის თეორიის საფუძველზე მიმდინარეობს (აკადემიის ნევრ-კორექსიონდენტები ი. იმედაძე, დ. ჩარკვიანი).

3 საინტერესო სიახლეებია სამართალმცოდნეობაში, სახელდობრ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთაშორისო სამართლისა და კონსტიტუციური სამართლის აქტუალურ პრობლემებს, რასაც მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია (აკადემიკოსები ი. ალექსიძე, ჯ. ხეცურიანი). უნდა ითქვას, რომ ზემოთ დასახელებული თითოეული დარგის მიღწევების სათანადო სისრულით აღწერას მოზრდილი მონოგრაფიების მოცულობა თუ დაიტევს, მაგრამ ამ მოკლე, სქემატური მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო და არის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წვლილი ქართველოლოგიისა და, ზოგადად, ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში. ინტერესმოკლებული არაა ის გარემოება, რომ აღნიშნული მიღწევები ადექვატურად აღიქმება გარემუ და მკვირვებლების მიერაც. ამის კარგი მაგალითია გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ ს. კარპოვის მიმართვა ორიოდე წლის უკან თბილისში გამართული საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესისადმი, სადაც ხაზგასმულია, რომ საქართველო, რომელმაც განუუმორებელი და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში, დღესაც, გლობალიზაციის ურთულეს პირობებშიც, ღირსეულად აგრძელებს და ავითარებს სამამულო ქართველოლოგიური სკოლის სახელოვან ტრადიციებს, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმატებით ახორციელებს ქართული და უცხოური ქართველოლოგიური სამეცნიერო საზოგადოების კონსოლიდაციას. შეუძლებელია გვერდი

ავუაროთ განსაკუთრებული ხასიათის სიახლეებს, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში. ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციისა (მარიამისეულ, მაჩაბლისეულ, კლიმაშვილისეულ, ანასეულ, ჭალაშვილისეულ) და, აგრეთვე, ვახტანგ VI-ის „მეცნიერ კაცთა“ კომისიის მიერ რედაქტირებულ (რუმიანცევისეულ, თეიმურაზისეულ და სხვ.) ნუსხებზე დამყარებული კრიტიკული ტექსტის გამოცემა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე (ქართული და რუსული გამოცემების მთავარი რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი, ინგლისურის - ამერიკელი ქართველოლოგი, პროფ. სტივენ ჯონსი). გამოქვეყნდა ახალი „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის სამტომეულის I და II ტომები (პროფ. გ. არახამია); საქართველოს ისტორიული ატლასის მეორე, შევსებული გამოცემა (მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი). საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ენციკლოპედია „საქართველო“, რომლის I-IV ტომები უკვე მიიღო მკითხველმა და რიგშია V ტომი (მთავარი რედაქტორი პროფ. ზ. აბაშიძე), რომელთა შექმნასა და მომზადებაში განყოფილება აქტიურად იყო და არის ჩაბმული; შვედეთში (ქ. სტოკჰოლმი) რუსულ ენაზე გამოიცა აკად. რ. მეტრეველის მონოგრაფიები - „წმინდა დავით აღმაშენებელი“ და „წმინდა მეფე თამარ“, რომლებიც განკუთვნილია უცხოეთში საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებული ფართო აუდიტორიისათვის. გამოიცა ვრცელი კრებული „დიდი ექვთიმე“, რომელიც აკად. ე. თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება, უკვე გამოვიდა ე. თაყაიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის რვა ტომი ინტერესით შეხვდა მკითხველი საზოგადოება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ მოსკოვში 2015 წ. გამოცემულ ფართოპლანიან ნაშრომს „ქართველები“, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორები არიან აკად. ნევრ-კორ. ლ. მელიქიშვილი, პროფ. ლ. ბერიშვილი, ლ. სოლოვიოვა (გამოიცა მისი ქართული ვარიანტიც); აკადემიის პატრონაჟით გამოქვეყნდა სქელტანიანი მონოგრაფიები - პროფ. ნ. ჯაველიძის „აფხაზეთი და აფხაზნი“ და პროფ. ვახტ. ითონიშვილის „დევალეთი და დვალეები“, პროფ. შ. ვადაჭკორიას „ოსთა გენოციდის საკითხი და 1918-1925 წლების ისტორიულ მოვლენათა სინამდვილე“ (რუსულ ენაზე), პროფ. რ. თოფჩიშვილის „ოსები ისტორიულ და თანა-

მედროვე საქართველოში“ (რუსულ ენაზე), რომლებიც საფუძვლიანად და მეცნიერული კეთილსინდისიერებით აშუქებენ საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილების ისტორიულ წარსულს, რაც, ცნობილი გარემოებების გამო, აფხაზეთ, ოსურ თუ რუსულ პოლიტიკურად მოტივირებულ პუბლიკაციებში უმოწყალოდ მახინჯდება. გამოქვეყნდა გამყალბებელთაგან საქართველოს ისტორიისა და ქართულ კულტურის დასაცავად ქართველ მეცნიერთა მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი ნაშრომების ორი კრებული, რომლებიც მოამზადეს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიამ და ისტორიის, თნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრმა: 1. Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии, Научный редактор акад. Д. Мухелишвили, Тб., 2009. აქ დაიბეჭდა ს. ჯანაშიას, ი. აბულაძის, მ. ლორთქიფანიძის, ბ. არველაძის, ნ. შოშიაშვილის, დ. მუსხელიშვილის, რ. მეტრეველის, დ. ბერძენიშვილის, გ. მაისურაძის, ე. ცაგარეიშვილის, ა. ონიანის, ზ. სარჯველაძის და სხვ. სტატიები, სადაც მკვეთრი პასუხია გაცემული ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსის მიერ საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების გაყალბებაზე. 2. Некоторые вопросы истории осетин Шиди Картли, Тб., 2010, Главный редактор акад. Д. Мухелишвили. კრებულში შეტანილია ნაშრომები, რომელთა ავტორები (მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, ა. თოთაძე, ვალ. ითონიშვილი, ვახტ. ითონიშვილი და სხვ.) ობიექტურად აშუქებენ ქართველი და ოსი ხალხების მრავალმხრივ ურთიერთობებს და მეცნიერული არგუმენტაციით აქარწყლებენ აღნიშნული საკითხების ფალსიფიკაციის მცდელობებს; ახლახან მეორედ გამოიცა ს. ჯანაშიას პოლემიკური ნაშრომის „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ“ (პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე 1946 წ.). ქართული თარგმანი. ამავე პრობლემატიკას მიეძღვნა საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტისა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოების გაერთიანებული სხდომა, რომელიც გაიმართა აკადემიაში მიმდინარე წელს. ნათელია, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წვლილი საქართველოში მეცნიერების ჰუმანიტარული დარგების განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია, ხოლო შექმნილი მემკვიდრეობა - მყარი საფუძველი მისი შემდგომი აღმავლობისათვის.



# მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ვიქტიმოლოგიის აქტუალური საკითხები“

2020 წლის 26 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით გამართა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ვიქტიმოლოგიის აქტუალური საკითხები“

კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა და უძღვებოდა აკადემიკოსი, პროფესორი, დოქტორი გიორგი კვეციანიძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ:

– პროფესორი, დოქტორი მამუკა თავხელიძე – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი.

– პროფესორი, დოქტორი კრის ესკრიჯი (აშშ), ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, ნებრასკას უნივერსიტეტი. (ონლაინ ფორმატით)

– პროფესორი, დოქტორი მალხაზ ბაძაღუა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრები, ამერიკის კრიმინოლოგიური საზოგადოების წევრები, მეცნიერები და მკვლევარები ათი უმაღლესი სასწავლებლიდან, მათ შორის უცხოელი და თბილისის ფარგლებს გარეთ მყოფი მონაწილეები ონლაინ ფორმატით (პროგრამა ზუმის გამოყენებით).

მოხსენებებით გამოვიდნენ:

• პროფესორი, დოქტორი მალხაზ ბაძაღუა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

– ვიქტიმოლოგიის არსი და მნიშვნელობა;

• პროფესორი, დოქტორი მინდია უგრეხელიძე – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– ვიქტიმოგენეზი

• პროფესორი, დოქტორი კრის ესკრიჯი (აშშ), ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, ნებრასკას უნივერსიტეტი. (ონლაინ ფორმატით)

– კრიმინოლოგიის როლი გლობალურ დონეზე;

ბული როლი მსხვერპლთა დაცვის მიზნით.

• პროფესორი, დოქტორი დავით გუგავა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– ვიქტიმოლოგიური პრობლემები საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკაში

• პროფესორი, დოქტორი თეიმურაზ ფაჩულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.



• დოქტორი დავით სუჯაშვილი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– ვიქტიმოლოგიის პრობლემები საერთაშორისო ტერორიზმის კონტექსტში.

• პროფესორი, დოქტორი ეკა ბესელია, საქართველოს პარლამენტის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– COVID 19-ის პანდემიის ქრილში პარლამენტის განსაკუთრებ-

– ვიქტიმოლოგიის ფილოსოფიური ასპექტები.

• პროფესორი, დოქტორი მიხეილ მამნიამვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– დაზარალებულის პროცესუალური რეგლამენტაცია, როგორც ვიქტიმოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემა;

• პროფესორი, დოქტორი პოლიკარპე (თემურ) მონიავა, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.



- ვიქტიმოლოგიის არსი, მისი ადგილის განსაზღვრის პრობლემა, ეგრისის მეფე გუბაზ II-ე, ქართულ სინამდვილეში დღემდე ცნობილი პირველი ვიქტიმირების მსხვერპლი და მისი მკვლელობის საქმის სამართლებრივ-პოლიტიკური შედეგები.

- პროფესორი, დოქტორი გიმიზერ ალანია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

- დაზარალებულის რეგულაციის პროცესუალური რეგლამენტაცია გერმანიისა და საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობებში.

- პროფესორი, დოქტორი ყარამან ფალავა – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; დოქტორი ლელა შენგელია – საზოგადოებრივი ჯანდაცვის მასტერი, საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი; სოფიო ჭირაქაძე – საზოგადოებრივი ჯანდაცვის მასტერი, საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი სპეციალისტი; იულია ზედგენიძე – საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი სპეციალისტი; ნანა გეთია – საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსი სპეციალისტი; ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი ელენე ფალავა – საზოგადოებრივი ჯანდაცვის მასტერი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტი.

ბულინგი სასკოლო ასაკის ბავშვებში.

- პროფესორი, დოქტორი ვახტანგ მაისაია – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

- ვიქტიმოლოგია და მისი პოლიტიკური ასპექტები: საქართველოს გამოცდილება.

- დოქტორანტი თამთა წირქვაძე – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

- აფექტირებული დანაშაული, როგორც ვიქტიმოლოგიური პრობლემა.

- დოქტორანტი ანზორ ჩუბინიძე, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

- ვიქტიმოლოგიური პრევენციის საკითხები სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საქმიანობაში

- პროფესორი, დოქტორი მალხაზ ბაძალუა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; პროფესორი, დოქტორი მიხეილ ბაძალუა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;

- ვიქტიმური ქცევის კრიმინოლოგიური თავისებურებანი.

კონფერენციაზე განსახილველად ასევე წარმოდგენილი იყო შემდეგი მოხსენებები:

- პროფესორი, დოქტორი ვიტალი კვამისი (რუსეთი), რფ შსს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოება. მსოფლიო ვიქტიმოლოგიური საზოგადოების წევრი (ონლაინ ფორმით).

- ოჯახური ურთიერთობების სამართლებრივი დაცვა: სახელმწიფოთა მხრიდან პირად ცხოვრებაში ჩარევის დაშვებადობის ფარგლები.



- ასოცირებული პროფესორი, დოქტორი გივი აბაშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია; ასისტენტი, დოქტორანტი ირაკლი აბაშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ონლაინ ფორმით),

- დანაშაულის მსხვერპლი კრიმინოლოგიაში და დაზარალებულისაგან მისი გამიჯვნის საკითხები.

# ა მ ა გ ღ ა რ ნ ი

• პროფესორი, დოქტორი გიორგი ღლონტი, თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– უსაფრთხოების და ვიქტიმიზაციის პრობლემების ანალიზი საქართველოში 2010-2020 წლებში.

• პროფესორი, დოქტორი პეტრე დაუთაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

– ვიქტიმოლოგიის ადგილი და როლი სამართალწარმოებაში

მოსხენებების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს და მოსაზრებები გამოთქვეს აკადემიკოსებმა: გიორგი კვესიტაძემ და როინ მეტრეველმა, პროფესორებმა მინდა უგრეხელიძემ, ეკა ბესელიამ, დავით სუჯაშვილმა, მალხაზ ბაძალუამ, ასევე ანზორ ჩუბინიძემ.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი როინ მეტრეველი, აკადემიკოს-მდივანი რამაზ ხუროძე, ვაჟა ლორთქიფანიძე და თამაზ შიკალაძე. ასევე საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა მალხაზ ბაძალუამ შეაჯამა კონფერენციის შედეგები და წარმოადგინა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, მათ შორის ინიციატივა საქართველოს ვიქტიმოლოგიური საზოგადოების დაფუძნების აუცილებლობის შესახებ, ასევე მონაწილეებს აცნობა, რომ კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება ჟურნალში „კრიმინოლოგი“, ხოლო გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები ეცნობება შესაბამის სახელმწიფო, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ კონფერენციის მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ხოლო აკადემიის წევრის დიპლომები პროფესორებს: მინდია უგრეხელიძეს, მამუკა თავხელიძეს, ბადრი ნაჭყეაძეს და ვახტანგ მაისაიას.

ქართულ მეცნიერებას ბევრი ამაგდარი წარმომადგენელი ჰყავდა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს, რომლებიც დღეს გარდაცვლილი არიან. მათზე ყველაზე უკეთ მათივე კოლეგები – აკადემიკოსები წერდნენ, რასაც მეცნიერების რთული თავისებურება განაპირობებდა.



*ქვემოთ ვბეჭდავთ აკადემიკოს შოთა ძიძიგურის წერილს მიძღვნილ დიდი ქართველი მათემატიკოსის და საზოგადო მოღვაწის ილია ვეკუას დაბადებიდან 75 წლისთავსადმი. წერილი დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 1982 წლის 23 აპრილს. გვ. 11.*

## შოთა ძიძიგური ილია ვეკუას შესახებ

სამოცდათხუთმეტი წლის წინათ დაიბადა ილია ვეკუა. შესანიშნავი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც წარუშლელი კვალი გააწვლია საბჭოთა მათემატიკური მეცნიერების ხეობაში და, როგორც მეცნიერმა და ორგანიზატორმა დიდი ამაგი დასდო მეცნიერულ მშენებლობას ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც. მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და საქართველოში ანდრია რაზმაძის, ნიკო მუსხელიშვილის, არჩილ ხარაძისა და გიორგი ნიკოლაძის მიერ დაფუძნებულ სკოლას შორს გაუთქვა სახელი. სიცოცხლის ბოლო წლებში, სულ რაღაც ორი-სამი წლის მანძილზე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ილია ვეკუა ზედიზედ აირჩიეს საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებების უცხოელ წევრად. ესენია: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, საბუნებისმეტყველო აკადემია „ლევოპოლდინა“ (ჰალე), პალერმოს (სიცილიის) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემია, პოლონეთის თეორიული გამოყენებითი მექანიკის საზოგადოება, იენის უნივერსიტეტი და სხვა. არა ერთხელ გამოსულა იგი უცხოეთში გამართულ კონგრესებზე

ღრმაშინაარსიანი მოხსენებებითა და ლექციებით. ყველგან და ყოველთვის სახელმძღვანელო მეცნიერი ურყევად და მოხდენილად იცავდა მეცნიერის პრესტიჟს და ღირსეულად წარმოაჩენდა მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც შეიტანეს ქართველმა სპეციალისტებმა მათემატიკური მეცნიერების განვითარებაში საერთოდ. მომავალ მათემატიკოსს თავიდანვე იზიდავდა ჰუმანიტარული მეცნიერებანი. მონადინებული იყო უნივერსიტეტში სწავლა განეგრძო ისტორიულ-ფილოლოგიური განხრით. მოგუსმინოთ მეცნიერს: „სკოლაში მათემატიკა ისე არ მიყვარდა, როგორც ისტორია და ლიტერატურა... გამიტაცა ისტორიულმა და ლიტერატურულმა საკითხებმა, ვწერდი რეფერატებს, გამოვდიოდი დისპუტებზე. ამრიგად, დავარწმუნე რა თავი იმაში, რომ ჩემი საყვარელი საგანი ისტორიაა, გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება ისტორიის ფაკულტეტზე.“ შემდეგ საქმე ისე დატრიალდა, რომ მათემატიკის ფაკულტეტზე ჩარიცხულა ავტორი განაგრძობს: „მაგრამ მათემატიკურზე ერთი თვის განმავლობაში ყოფნის დროს გული გამიტყდა და გადავწყვიტე ისევ ჩემი ძველი ოცნების განხორციელება – ისტორიულზე გადასვლა.“ განცხ-

დებით მიუმართავს უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილისათვის. ბატონ ივანეს დაუბარებია ახალბედა სტუდენტი და უთქვამს: „ჩვენს სამშობლოს მათემატიკოსები ისტორიკოსებზე ნაკლებად არ ესაჭიროება“ ურჩევია დარჩენილიყო მათემატიკის ფალსულტეტზე. ილია მისთვის ჩვეული იუმორით დასძინს: „ამრიგად, ჩემმა ცდამ, ისტორიკოსი გამოვსულიყავი ფუჭად ჩაიარა, შეიძლება ეს ისტორიკოსებისათვის სასარგებლოც გამოდგა, რადგან მათ რიგებს არ შეემატა ერთი ცუდი ისტორიკოსი.“ ილია ვეკუას პირველმა საჯარო გამოსვლამ ერთბაშად მიიპყრო ჩვენი სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება. ეს იყო ანდრია რაზმაძის დაკრძალვის დღეს. როდესაც უნივერსიტეტის ეზოში განსვენებულს გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართეს ჩვენმა ცნობილმა პროფესორებმა (დღესაც ცხოვლად გვახსოვს ერთ-ერთი მათგანის – შალვა ნუცუბიძის შთამბეჭდავი გამოსვლა), პროცესის დიდუბის პანთეონისაკენ დაიძრა და გზად შეჩერდა სახლთან, სადაც ცხოვრობდა დიდ ქართველი მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე. აქ აივანზე გადმოდგარმა სტუდენტმა ილია ვეკუამ ამაღლეზელი და ყველასათვის მოსაწონი სიტყვა წარმოთქვა და დაიტერა თავისი საყვარელი მასწავლებელი. მან აღნიშნა, რომ განსვენებულის მიერ წამოწყებული საქმე მომავალში ფრთას შეისხამს და შარავანდედით იქნება მოსილიო. ამ სამომავლო ძიებებში შემდგომ დიდი წილი თავად ილია ვეკუამ დაიდო.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოში საფუძველი ეყრება სამეცნიერო კადრების მომზადებას ასპირანტურის მეშვეობით. ეს ახალი საქმე იყო. ამ მიზნით შეარჩიეს ნიჭიერი ახალგაზრდები და გაგზავნეს ლენინგრადში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში, რათა მეცნიერების ამ შტაბში განეგრძო მუშაობა ქართველი ასპირანტების ამ პირველ თაობას მსოფლიოში სახელმძღვანელოებით. ესენი უმეტესწილ მათემატიკოსები და ენათმეცნიერები იყვნენ. ამ ჯგუფს ამშვენებდა ილია ვეკუა, რომელსაც ნიკო მუსხელიშვილის რეკომენდაციით სამეცნიერო წრთვინა უნდა გაეწეო აკადემიკოს კრილოვთან. „მე ძალიან გამიმართლა,

– ნათქვამია მეცნიერის მოგონებებში, – შევხვდი დიდ რუს მეცნიერს, რომელიც დათანხმდა, ყოფილიყო ჩემი მეცნიერი ხელმძღვანელიო.“

ოცდაათიანი წლების შუა ხანიდან თბლისში განაგრძეს მოლ-



ვანეობა ლენინგრადში მომუშავე ქართველმა მეცნიერებმა, მათ შორის – მომავალმა აკადემიკოსებმა: ილია ვეკუამ, ვიქტორ კუპრაძემ, ევგენი ხარაძემ, ავლიპ ზურაბაშვილმა, ვაგან მამასახლისოვმა, კონსტანტინე მარჯანიშვილმა, ბენო ბალავაძემ, შალვა მიქელაძემ, გიორგი ნერეთელმა, სერგი ჯიქიამ და ამ სტრიქონების ავტორმა. ამასთანავე არა ერთმა პროფესორმა დაიწყო მუშაობა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

1966-1972 წლებში უნივერსიტეტის კოლექტივს როგორც რექტორი, წინ ნაუძღვა ილია ვეკუა და ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა.

აქ მინდა გამოვყო და საგანგებოდ აღვნიშნო, რომ ილია ვეკუა, როგორც რექტორი, დიდი გულისყურით ეკიდებოდა ჰუმანიტარული დისციპლინების დონის ამაღლებას და შესაბამის დარგებში მეცნიერული მუშაობის გაშლას. ამ მხრივაც იგი აგრძელებდა უნივერსიტეტში დამკვიდრებულ კარგ ტრადიციას. მისი თაოსნობით აღდგა თუ შეიქმნა ქართული არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის კათედრები. ჩამოყალიბდა ტოპონიმიკური

კვლევა/ძიების ცენტრი და სხვა. ამასთანავე დაარსდა „უნივერსიტეტის ბერძნულ-ლათინური ძეგლების ბიბლიოთეკა“, რომელიც დიდ სამკვილიშვილო საქმეს აკეთებს ანტიკურ და შუა საუკუნეების ავტორთა ნაწარმოებების ქართულად გამოცემის საქმეში. გაგრძელდა, გაცხოველდა აგრეთვე უცხოელ ქართველოლოგებთან კონტაქტები;

ქართული ენისა და კულტურის ცნობილ მკვლევარებს რენე ლაფონს, დავით ლანგს, ჰანგს ფოგტს მიენიჭათ თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. იმასაც დავუმატებთ, რომ ილია ვეკუას, როგორც რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოთავეობით, შეიქმნა საქართველოს ისტორიის წყაროების ფილოლოგიური გამოცემების კომისია, რომელმაც შემდგომ ფართოდ გაშალა მუშაობა (დღესდღეობით გამოცემულია ოცდაათიოდე ტომი, შემკული თარგმანებით, კომენტარებით, სამეცნიერო აპარატით).

ილია ვეკუას წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიას, რომელიც შეიქმნა მესტიისა და ლენტეხის რაიონების შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცნობილი დადგენილების საფუძველზე. დაუვიწყარია ილია ვეკუას შეხვედრები სვანეთის მშრომელებთან. მისი თავმჯდომარეობით პირველად ზემო სვანეთში ჩატარდა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა სვანეთის უნიკალური მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლას. დღეს ჩვენს მეცნიერებათა აკადემიაში უფრო ფართოვდება და ღრმავდება ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ჰუმანიტარული დარგების შემდგომ განვითარებასთან. დინჯი და აუჩქარებელი, ყოველგვარი საქმის დეტალებში ბრძნულად ჩახედული, საზოგადოებრივი მიზანსწრაფვით დაჯილდოებული ადამიანი, გულისხმიერი, მოყვარული, მეგობრობაში მაგალითის მიძემი, ამტანი და გამტანი – ასეთი გახლდათ ეს მომხიბლავი კაცი, რომლის ნათელი ხსოვნა წარუშლელია იმათში, ვინც კი იცნობდა და თვალყურს ადევნებდა მისი კაცური კაცობით აღბეჭდილ ცხოვრებას.

# დაბვიანები აღიარებულნი



**სიმონ (სიმონიკო) ბერეჟიანი**

სიმონ ბერეჟიანი იმ უიღბლო ქართველ ემიგრანტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც სამშობლოში დაბრუნება აღარ ელირსა. უფრო მეტიც, ჯერჯერობით მისი საფლავიც დაკარგულად ითვლება. მის ბედისწერაში ერთგვარი ტრაგიზმი იმთავითვე გამოსჭვივის. ეს, უპირველეს ყოვლისა მის გვარს უკავშირდება. დაიბადა ბავშვი ჩოხატაურში, 1899 წელს არა ბერეჟიანად, არამედ თაყაიშვილად, ერმილე თაყაიშვილის და მისი მეუღლის ქარცივაძის ქალის, ოჯახში. მის მშობლებს ხუთი შვილი ჰყავდათ: სამი ვაჟი და ორი ქალი. ერთი წლის სიმონიკა უშვილო დეიდამ და მისმა ქმარმა სიმონ ბერეჟიანმა იშვილეს. ახალმა მშობლებმა ბავშვი თბილისში წაიყვანეს, სადაც ისინი ვარაზის ხევის ახლოს საკუთარ სახლს ფლობდნენ. ბერეჟიანების ოჯახი შეძლებული ოჯახი ყოფილა. მშობლებს ის უყვარდათ, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ მამამ ნაშვილებ ბიჭს გვარის გარდა თავისი სახელიც მისცა. ასე გაჩნდა სიმონ ბერეჟიანი - 2, როგორც ასეთ შემთხვევაში უწოდებენ უცხო ქვეყნებში. პატარა, უდავოდ ნიჭიერი სიმონიკა თბილისის ქართულ გიმნაზიაში მიაბარეს. საზაფხულო არდადეგებზე ბერეჟიანები გურიაში მიემგზავრებოდნენ, სადაც მათ ხიდისთავის მახლობლად მდებარე სოფელ ახალშენში კარგი მამული და სახლ-კარი ჰქონდათ. აქამდე სიმონ ბერეჟიანის ბიოგრაფიული ცნობები, მისი ლექსების მეორე გამოცემის წინასიტყვაობიდან ამოვკრიფე, რომელიც ემიგრანტ ქართველ პოეტს

გიორგი ყიფიანს ეკუთვნის. თავის მხრივ, ავტორი ეყრდნობა შოთა ბერეჟიანის ცნობებს, რომელიც პირველწყაროსთან ანუ პოეტთან დაახლოებული ჩანს, და ამგვარად მისი ნაამბობი ნდობას იმსახურებს.

იგივე შოთა ბერეჟიანის ცნობით, სიმონიკა ბავშვობიდანვე მრავალმხრივ ნიჭს ამჟღავნებდა: „ხატავდა, მისმიერ წანაკითხს, გმირულ ამბებს მოუთხრობდა ბავშვებს და თავისებურად არტისტობდა კიდევაც (...) სიმონიკას ძლიერ გვიან გაუგია, რომ იგი თაყაიშვილი იყო. ამის შესახებ იგი არასოდეს ლაპარაკობდა და საფიქრებელია, რომ მას ემძიმებოდა კიდევაც ეს გარემოება. ერთხელ, როდესაც ამაზე ლაპარაკი ჩამოვარდნილა, მას უთქვამს: მე ქრისტიანული წესით მოვინათლე ბერეჟიანად და საჭირო არ არის, რომ ორი გვარი მქონდესო“. ამის შემდეგ, სოციალურ ქსელში, ვიკიპედიაში მოცემულ გრაფას: ოფიციალური სახელი – სიმონ თაყაიშვილი, ყოველგვარი დამაჯერებლობა ეკარგება.

ტრაგიკულმა ბედისწერამ სიმონიკოს მარტო ეს არ აკმარა, მისი გვარი და სახელი კიდევ ერთხელ გადაათამაშა და მას გერმანული სახე მისცა. სიმონ ბერგერი, ამ გვარით ჩავიდა ის პარიზიდან ბერლინში და შეუერთდა მისებრ უცხოური გვარსახელებით შემკობილი ქართველი ემიგრანტებისგან შექმნილ ქართულ ლეგიონს, 1941 წელს, მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ. ლეგიონის წევრებს, კონსპირაციის მიზნით, ყველას სიმონივით უცხოური გვარ-სახელი „შვენოდა“.

ამგვარად თავს იყრის პოეტის სამი ვინაობა: სიმონ თაყაიშვილი, სიმონ ბერეჟიანი და სიმონ ბერგერი. რომელია მათგან ნამდვილი ვინაობა? უდავოდ სიმონ ბერეჟიანი, სახელი და გვარი, რომლითაც მან მთელი სიცოცხლე განვლო. სახელი და გვარი, რომელიც ყველა მის ლექსს ამკობს. ეს არის მისი ოფიციალური გვარი და სახელი და არა სხვა რომელიმე.

ამავე პიროვნებას (შოთა ბერეჟიანს) ეკუთვნის შემდეგი ცნობაც: „დამოუკიდებლობის დროს სიმონიკა თავისი ხარჯით გერმანიაში წამოვიდა განათლების მისაღებად.“ ამის შესახებ არსებობს განსხვავებული ცნობაც: „1920 წელს ეროვნულმა მთავრობამ გერმანიაში განათლების მისაღებად გააგზავნა.“ სწავლობდა

ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში.“ გამომდინარე იქიდან, რომ ეს უკანასკნელი ცნობა არასწორია: ბერლინის უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის ვილჰელმ ჰუმბოლდტის სახელი 1949 წელს დაერქვა, როდესაც უნტერ დენ ლინდენის ბულვარზე მდებარე უნივერსიტეტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის მიკუთვნებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა, პირველ ცნობის მიმართაც ეჭვი ჩნდება.

სიმონ ბერეჟიანი იყო ემიგრანტი ქართველი მწერალი: პოეტი, პუბლიცისტი და აგრეთვე მხატვარი (კარიკატურისტი) და მოქანდაკე (მძერწავი). როგორც პოეტიც და როგორც კარიკატურისტიც ის წარმატებით მოღვაწეობდა 20-ე საუკუნის 30-ათიან წლებში ზოგიერთ იმჟამინდელ ქართულ ათვლით გამოცემაში, მაგალითად, გაზეთში „თეთრ გიორგი“, ჟურნალებში: „კავკასიონი“ და „ქართლოსი“, რომელებსაც სხვადასხვა დროს მისი მეგობარი ვიქტორ ნოზაძე განაგებდა. სწორედ ვიქტორ ნოზაძის დამსახურებაა 1943 წელს, გაგანია ომის დროს, ბერლინში, ქართულ ლეგიონში, სიმონ ბერეჟიანის პირველი ნიგნის გამოცემა. მის მიერ დაღუპული მეგობრის ნიგნისთვის წამძღვარებულ მცირე წინასიტყვაობაში ეს ამკარად არ ჩანს, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ამას სტრიქონებს შორის ამოიკითხავს. მისი პოეტური დანატოვარი, პოეტის თანამედროვეთა მოწმობით, სამი სახეობისა გახლავთ: 1) ლექსები, რომლებიც მის ორჯერ გამოცემულ ნიგნშია შესული; 2) ლექსები, რომლებსაც პოეტი თავის მეგობრებს ჩუქნიდა; 3) ქართველი ემიგრანტების საოჯახო ალბომებში მისი ხელით ჩანერილი შაირკაფიები, ეპიგრამები თუ ცალკეული პნკარები. მოვა დრო, როცა მწერლის დანატოვარი უფრო შეივსება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება. არ შეიძლება აქ არ ვახსენოთ ქართველი ემიგრანტის დოქტორ მარკოზ ტულუშის გზისგამკვლევით, ვრცელი წინასიტყვაობა, რომელიც პოეტის პირველ ნიგნს ერთვის და რომელსაც გვერდს ვერ აუვლის სიმონ ბერეჟიანის ცხოვრებით და შემოქმედებით დაინტერესებული ვერცერთი მკვლევარი. ასევე ვერ აუვლის მკვლევარი გვერდს გურამ შარაძის გამოკვლევას


„სიმონიკო ბერეჟიანი“, რომელიც შესულია მის ნიგნის: „უცხოეთის ცის ქვეშ“ მესამე ტომში. საინტერესო მოგონება აქვს დაწერილი ემიგრანტ ქართველ მოღვაწეს მიხეილ ქავთარაძეს (ყოფნაში „კავკასიონი“ N19, პარიზი 1978).

სიმონ ბერეჟიანი, ვით ყოველი იმჟამინდელი ქართველი ემიგრანტი პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელი ქმედით მონაწილეობას ლებულობდა ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ მოშობაში მისი მრავალჯერი გარდაქმნის ყოველ ეტაპზე.

ქვემოთ იბეჭდება სიმონ ბერეჟიანის ორი ლექსი: „მგოსანი“ და „ნასახლარი“.

P.S. პირველი ლექსის ბოლო სტროფი, ჩვენში გავრცელებული მოსაზრებით, ნოე ჟორდანიას საფლავის ქვაზე არის წარწერილი პარიზის მახლობლად მდებარე ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

**ენვერ ნიჟარაძე**



სიმონ ბერეჟიანი (უკანა რიგში, მარჯვნიდან მეორე) ქართველ პატრიოტთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ მეორე ყრილობაზე. პარიზი.

**მგოსანი**

მე დავიბადე ცხელ ლითონის და ცეცხლის დროში;  
 ტყვიის ზუზუნმა დამავიწყა დედის ნანიჩა...  
 საბნად მესურა სისხლიანი ნაფლეთი დროშის;  
 გახრწნილ გვამებში უდარდელ ბავშვს ტკბილად მეძინა.

მაგრამ ჩემს გულში იზრდებოდა მაისის ვარდი,  
 ზეცით დარგული და მოწყვლი ქართული სისხლით;  
 მთვარით ნაკოცნი და ქართული მზით განაზარდი,  
 და დაბურული ცივ გომბორის ჟანგიან ნისლით.

დავცქერი მიწას ტყვიით დახნულს და ვამბობ ასე:  
 უნდა მივილო დაწყევლილი ხანა ახალი!  
 უნდა გავყინო ჩემში სხივი მაღალ პარნასის,  
 გავზარდო გულში ცივი გველი და ქარიშხალი!

გაახელს მთვარე ვერცხლის თვალებს და ყოველ ღამით,  
 როს დასხდებიან ვარსკვლავები ცაზე იებად,  
 ვრწყავ გულში გაშლილ მაისის ვარდს შხამით, ბაღღამით,  
 რომ ჩაუწერგო საშინელი შურისძიება;

რომ ყოველივე ჩემი სიტყვა მტერს მოხვდეს ტყვიად,  
 რითმამ დასტენოს მკვირცხლი აზრი ლექსში ყუმბარად;  
 და თუ ღიმილი ზეციური კიდეე მატყვია,  
 არ დაიჯეროთ! ვით ჯალათი ვიციანი მარად!

რას ვაქნევ სიტყვას ჰაეროვანს აწონილს მისხლით,  
 როს გარს მატყვია ეკლიანი რკინის მავთული!  
 მელნად დავწურე ნოყიერი ქართული სისხლი,  
 კალმად მიპყრია ხელში ბასრი ხმალი ქართული!

და შხამით მორწყულ მაისის ვარდს ვდარაჯობ, ვუვლი;  
 შურისძიება მასაზრდოებს, მიმატებს ღონეს;  
 რამდენი მამა გაიხსენებს ჩემს სახელს კრულვით,  
 რამდენი დედა ცრემლით, ოხვრით შვილს მოიგონებს!

თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,  
 მხოლოდ სისხლისთვის გიხმობს ჩემი ბუკი-ნალარა!  
 ისე არ ჩავალ, ვით მოსილი, ბნელ სამარეში,  
 თუ არ შევლებე მტრების სისხლით ჩემი ჭალარა!

ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,  
 ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო.  
 თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,  
 დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!

**ნასახლარი**

ისევ ის მთები! ისევ ის ზეცა!  
 შენს სილამაზეს ვერ შესცვლის დრონი.  
 ორ ნაწნავებად გადმოიკეცა  
 ფარჩის კაბაზე მტკვარი, რიონი.  
 გავყევი მძევლად დღეს კუდიან ქარს...  
 როცა სოფელი იწვა ბინდებში.  
 ვაკოცე ღობეს, ვაკოცე ჭიშკარს  
 და დავიმაღე სქელ სიმინდებში.

გატეხილ ხულას  
 დასჩხავის ყვავი,  
 დამპალ სვეტებზე  
 ქანაობს ოდა...  
 მე რომ ალვის ხედ  
 გავჩენილიყავ,  
 შენთან დარჩენა  
 შემეძლებოდა

ჟურნალი: „კავკასიონი“  
 პარიზი 1929 წელი

რედაქტორი: ენვერ ნიჟარაძე

დაკაბადონება: პაატა ქორქია

**უნწყებები** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ათვლითი გამოცემა იბეჭდება აკადემიის სტამბაში